(2004)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა გადაწყვეტილება **აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭომ, ადასტურებს რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს მიერ აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ადრე მიღებულ ყველა დოკუმენტს, პირველ რიგში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1995 წლის 10 თებერვლის მემორანდუმს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის შესახებ, 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებას აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ და სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 2003 წლის 19 სექტემბრის განცხადებას,

კვლავ ადასტურებს რა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, **გადაწყვიტა**

1. მოუწოდოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოებს განუხრელად შეასრულონ ზემოაღნიშნული დოკუმენტების დებულებები და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებები აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ.

2. თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოები კვლავ ადასტურებენ, რომ თავს შეიკავებენ ნებისმიერი ცალმხრივი აქტისა და მოქმედებისაგან, რომლებიც ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

შესრულებულია ქ. ასტანაში **2004 წლის 16 სექტემბერს.**

ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოების მეთაურთა მიერ.

დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს თურქმენეთმა, და უზბეკეთის რესპუბლიკამ.

(www.cis.minsk)